ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 298

"16" ივლისი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევის №5-ში არსებული 56.23 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევის №5-ში არსებული 56.23 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის №22.970.1069 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევის №5, 2 სართულზე მდებარე 56.23 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.027.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ასმათ ნებიერიძისთვის (პ/ნ: 01014001233) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება, ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე